შპს საზოგადობრივი კოლეჯის „ამაგი" მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია" დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

თავმჯდომარე: დიანა გახარია

წევრი: ელისო მურვანიძე

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **417878130**

სახე: დაწესებულების სახელწოდება: **შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შესაბამისი განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2025 წლის 22 მაისს გამოცემული MES 2 25 0000559263 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „მასაჟის თერაპია“ საფუძველზე კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია Massage Therapy“ დამატების საკითხის შესწავლას.

ექსპერტების მიერ, ვიზიტის განხორციელებამდე, იქნა შესწავლილ განაცხადი და განაცხადზე თანდართული დოკუმენტები. დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების განაცხადი ინფორმაციულია, მოიცავს საკითხთან დაკავშირებულ აღწერით ნაწილს. წარმოდგენილი დოკუმენტები მოწესრიგებულია სანიმუშოდ.

ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 10 ივნისს, მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. შესწავლილი დოკუმენტების შედეგად ექსპერტების მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების დაზუსტდა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას. დაწესებულებამ საჭიროებისამებრ ითანამშრომლა ჯგუფთან და ხელი შეუწყო ვიზიტის შეუფერხებელ მიმდინარეობას, დროულად იქნა მოწოდებული ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი.

ექსპერტებმა დაათვალიერეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეული აუდიტორიები და ბიბლიოთეკა. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს. ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის შემადგენელ მოდულებზე განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. დაწესებულებამ ორგანიზება გაუწია სამი პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტს და ხელი შეუწყო ერთი პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრების წარმართვას, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებით.

ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის მსვლელობისას და შეჯამდა ვიზიტის დასასრულს.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო პრაქტიკა არ გამოვლენილა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

2025 წლის 23 ივნისს ექსპერტებს გამოეგზავნათ კოლეჯის „ამაგი“ არგუმენტირებული წერილი, რომლის თანახმადაც დაწესებულება ეთანხმება ექსპერტების შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	14.05.2025; N7061
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ცხინვალის N9, ქალაქი გორი, შიდა ქართლი, 1400, საქართველო
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „ამაგი“ გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ განხორციელების თაობაზე ეფუძნება დაწესებულების განაცხადით წარმოდგენილ მიზანშეწონილობის ცხრილში მოცემულ არგუმენტაციას. ცხრილის შესაბამის ნაწილებში (1, 2, 4, 5, 7, 11, 12) ასახულია ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ გეგმასთან თავსებადობის, ადამიანური რესურსის შესაბამისობისა და საკმარისობის თაობაზე, ასევე სამოქმედო არეალსა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციებზე მოთხოვნის და ადგილობრივი ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ, ამასთან ნახსენებია, რომ რეგიონში ჯერჯერობით „მასაჟის თერაპიის“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით პროგრამა არ ხორციელდება. ინტერვიურებისას კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ამჟამად აქვს ჯანდაცვის მიმართულებით ავტორიზებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები, ხოლო 2012-2014 წლებში ახორციელებდა „მასაჟისტის“ პროგრამას. ასევე ისაუბრა მასაჟის პროფესიონალთა ასოციაციის, დამსაქმებლებისა და საზოგადოების დაინტერესების თაობაზე, რაც ბოლო წლების განმავლობაში დაგროვდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის არარსებობის გამო.

   კოლეჯის 2020 წლის 13 მარტის N19 ბრძანებით დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის (ცვლილება - ბრძანება N1752, 05.02.2025) მე-2 სტრატეგიული მიზნის 2.3 ამოცანა მოიაზრებს „შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა“, რომელიც განსაზღვრულია 2025 და 2026 წლებში. კოლეჯის მისიაში დეკლარირებულია დაწესებულების მრავლპროფილიანობა. შესაბამისად, ხსენებული პროგრამის განხორციელება არ ეწინააღმდეგება კოლეჯის მისიას და თავსებადია სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

კოლეჯს 2023 წლის 8 მაისის N4606 ბრძანებით (ცვლილება N7016- 13.05.2025) დამტკიცებულია აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. ექსპერტები შეხვდნენ პროგრამის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფს, რომელთაც ისაუბრეს პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობის თაობაზე. პროგრამა შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ სასწავლო პროცესის მენეჯერის ხელმძღვანელობით, რომელმაც დაწვრილებით ისაუბრა ჯგუფის მიერ განხორციელებული სამუშაოებისა და შედეგების შესახებ. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ პერსონალის მართვის მენეჯერი, იურისტი, ფინანსური მენეჯერი, დარგის წარმომადგენლები, შერჩევის შემდეგ ჯგუფს შეუერთდა პროგრამის ხელმძღვანელი. ჯგუფის წევრებთან ინტერვიურებით ნათლად გამოიკვეთა მათი რეალური ჩართულობა სამუშაო პროცესებში. პროგრამის შემუშავების ამსახველი მტკიცებულებების სახით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროცესის სრული ციკლის დოკუმენტაცია, რომელიც იწყება 2025 წლის 22 იანვრის დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფის ოქმი N1-თ და სრულდება 2025 წლის 14 მაისის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ დამტკიცების თაობაზე დირექტორის N7061 ბრძანებით. სამუშაო ჯგუფი ოქმებში ასახულია ინფორმაცია ჯგუფის მიერ პროგრამის სახელწოდებაზე მსჯელობის, მატერიალური და სასწავლო რესურსის შეძენის საჭიროების, პრაქტიკის ობიექტების განსაზღვრის (კონკრეტული მოდულის, სწავლის შედეგების კრედიტების განაწილებით), დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად და კონკურსის გზით განმახორციელებლების შერჩევის თაობაზე.

<u>შესწავლილ დოკუმენტებსა და ინტერვიურებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება მის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.</u>

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ შემუშავებულია ამავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობები შესაბამისობაშია სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. რაც შეეხება ჩარიცხვის პროცედურებს, შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „ამაგი“ კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 13 მაისის N7014 ბრძანებით (კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 01 ივლისის N64 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით) დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება, რომელიც შესაბამისობაშია „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის“ 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებთან.

<u>წარმოდგენილ დოკუმენტებსა და ინტერვიურებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებით და პროცედურებით უზრუნველყოფილია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.</u>

3. კოლეჯს, დირექტორის 2025 წლის 7 მაისის N6816 ბრძანებით, 2023 წლის 7 ივნისის N5550 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით, დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მასაჟის თერაპია“, რომელშიც აღწერილია A და C გარემოს მახასიათებლები; დოკუმენტში ასახულია პრაქტიკული სწავლებისთვის გაფორმებული ხელშეკრულება ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობით; მითითებულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“ თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ 2 განმახორციელებელი; ასევე, ფინანსური მდგრადობასთან დაკავშირებით, აღნიშნულია, რომ პროგრამის ბიუჯეტი თანხვედრაშია კოლეჯის ბიუჯეტთან. ამავე დოკუმენტში პროფესიულ სტუდენტთა რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 15-ით. გამოანგარიშების შედეგად, საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მასაჟის თერაპია“, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობა დადგენილია 40-ით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

<u>წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, კოლეჯს პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრული აქვს არსებული რესურსების შესაბამისად და ითვალისწინებს შესაბამის მეთოდოლოგიას.</u>

4. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „მასაჟის თერაპია“ განსაზღვრული მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია (რიგ შემთხვევებში აჭარბებს) სტანდარტის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან. პროგრამით გათვალისიწინებული საგანმანათლებლო რესურსი ადაპტირებულია (ამოღებულია უმეტესი უცხოენოვანი ლიტერატურა, დამატებულია რამდენიმე სახელმძღვანელო). დაწესებულების წარმომადგენლებთან საუბრისას აღინიშნა, რომ სასწავლო რესურსის განვითარება შემდგომში გაგრძელდება.

<u>ექსპერტების შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.</u>

5. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა „მასაჟის თერაპია“ მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით „მასაჟის თერაპია“ დადგენილი არჩევითი ბლოკიდან ერთ-ერთ მოდულს „SPA და ბალნეოთერაპიული პროცედურები“, შესაბამისად, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. დაწესებულების წარმომადგენლებთან საუბრისას აღინიშნა, რომ არჩევანს საფუძვლად უდევს ადგილობრივი ბიზნესის განვითარების პერსპექტივები.

6. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 13 მაისის N7016 ბრძანებით, 2023 წლის 8 მაისის N4606 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით, დამტკიცებულ „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მე-3 მუხლში აღწერილია პროგრამის შემუშავების პროცედურა. მისი მე-16 პუნქტით დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრული აქვს კოლეჯის დირექტორს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით - 2025 წლის 14 მაისი N7061.

<u>ამგვარად პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.</u>

7. პროგრამის სახელწოდება - „მასაჟის თერაპია“ იდენტურია მისი შემუშავების საფუძველი სტანდარტისა. <u>ამგვარად, ის შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.</u>

8. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „მასაჟის თერაპია“ განსაზღვრულა პროგრამის სახელწოდება, სტანდარტის შესაბამისად მოცემულია მიზნები, მისაღწევი სწავლის შედეგები, კრედიტები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. შეფასების მიმართულებები და სწავლების მეთოდოლოგია განსაზღვრულია მოდულებით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობის თაობაზე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში ინფორმაცია მოცემულია მე-2 ინდიკატორის აღწერით ნაწილში.

„საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის“ 2024 წლის 30 აგვისტოს N143 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ადგენს, რომ პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობას განსაზღვრავს პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტი, ხოლო გადაწყვეტილებას ამ შესაძლებლობის გამოყენების თაობაზე იღებს დაწესებულება, რასაც ასახვას პროგრამაში. დაწესებულების

დირექტორის 2025 წლის 13 მაისის N7016 ბრძანებით, 2023 წლის 8 მაისის N4606 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით, დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს, რომ პროგრამის სტრუქტურაში უნდა ჩანდეს დისტანციური სწავლების შესაძლებლობა, რაც ასახულია დამტკიცებულ აღწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „მასაჟის თერაპია“. 2021 წლის 13 აგვისტოს N3684 ბრძანებით (ცვლილება 2022 წლის 20 იანვარი N0285 ბრძანება) დამტკიცებულია სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის მარეგულირებელი წესი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N416 დადგენილების ბოლო ცვლილებასთან დაკავშირებით, დაწესებულება განმარტავს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიღმა, კოლეჯი ადგენს პროგრამაზე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების აუცილებლობას და პირობებს აღწერს შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „ამაგი“ კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 13 მაისის N7014 ბრძანებით (კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 01 ივლისის N64 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით) დამტკიცებული „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებაში“, კერძოდ VII თავში.

<u>წარმოდგენილ დოკუმენტებსა და ინტერვიურებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამა შეესაბამება მის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მიზანშეწონილობის დასაბუთება - მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი;
2. ბრძანება პროგრამის დამტკიცების თაობაზე, ბრძანება პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
3. კოლეჯის მისია;
4. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
6. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
7. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
8. დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი;
9. პროგრამის შემუშავების ამსახველი მტკიცებულებების პაკეტი;
10. ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „მასაჟის თერაპია“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით, რომლის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი ვიზიტის დღეს. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეიცავს მოდულის/სწავლის შედეგის შესაბამისი მატერიალური რესურსის ჩამონათვალს. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დადგენილია 40 პროფესიული სტუდენტით (ერთ წლის მიღებაზე 20 პროფესიული სტუდენტი). პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია 4 აუდიტორია. დარგობრივი მოდულებზე სიმულაციური სწავლება დაგეგმილია „მასაჟის თერაპია C გარემოში“ N48 აუდიტორიაში, სადაც პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ასევე აუდიტორიაში არის კარადა, დაფა, პროექტორი, 10 სამედიცინო ტახტი/ტაფჩანი სკამით, მოზარდა და ბავშვთა მულაჟები, შირმა და სხვა პროგრამით გათვალისწინებული ინვენტარი. აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული მატერიალურ რესურს სარეკომენდაციო რაოდენობაზე გაცილებით მეტი სამედიცინო ტახტი/ტაფჩანი და სკამი აქვს მობილიზებული დაწესებულებას (თანაფარდობა მოთხოვნისა და არსებულის არის 1/10).

<u>მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაციის გაცნობისა და სასწავლო გარემოების დათვალიერების შედეგად, ექპერტების შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით და პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის 40 გათვალისწინებით.</u>

2. პროგრამის „მასაჟის თერაპია“ დანართ N3-ში ჩამოთვლილია სულ 28 პირი, აქედან 15 პროფესიული მოდულებისთვის (მათ შორის 1 პირი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ინსტრუქტორს), 7 ზოგადი მოდულებისთვის, 7 ინსტრუქტორი. პროგრამის განსახორციელებლად მობილიზებული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა საკმარისია პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტის რაოდენობის სწავლებისთვის; წარმოდგენილი სასწავლო გეგმის დატვირთვის მიხედვით, განმახორციელებლების დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. აღსანიშნავია, რომ ზოგადი მოდულების განმახორციელებლები კოლეჯს ჰყავს მობილიზებული და დამატებითი კადრების შერჩევის საჭიროება არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დამდგარა, ხოლო პროფესიული მოდულის განმახორციელებლები, აყვანილნი არიან კონკრეტულად „მასაჟის თერაპიის“ პროგრამისთვის და სხვა პროგრამაზე/მოდულზე დატვირთვა არ გააჩნიათ, ინტერვიუს დროს მათ დაადასტურეს სამუშაო პრაქტიკის პარალელურად სწავლების შესაძლებლობა და სურვილი.

<u>ამგვარად, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.</u>

3. პროგრამის „მასაჟის თერაპია“ დანართ N3-ში ჩამოთვლილი განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია სწავლის შედეგების შინაარსთან, რაც დასტურდება კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პირადი საქმეების შესწავლის შედეგად. ვიზიტის დღეს, დაწესებულებაში შედგა პროფესიული განათლების მასწავლებელთან და პროგრამის ხელმძღვანელთან მათ შორის 2 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი, რომელიც 2 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელია. გასაუბრებით დასტურდება შერჩეული პირების მოტივაცია და მზაობა განახორციელონ განსაზღვრული მოდულები და ასევე გამოხატეს თანხმობა, ჩაუტარდეთ კოლეჯის შიდა ტრენინგები პროფესიული განათლების თავისებურებების უკეთ გასაცნობად, მათ შორის სწავლებისა და შეფასების პრინციპები.

<u>შესწავლილი პირადი საქმეებისა და გასაუბრების შედეგად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.</u>

4. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 14 მაისის N7061 ბრძანებით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ ხელმძღვანელი. აღნიშნული პირი პროგრამის დანართ N3-ის მიხედვით წარმოადგენს პროგრამის 2 პროფესიული მოდულის განმახორციელებელს. მისი კომპეტენცია შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და პროგრამის შინაარსთან, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის შესწავლით და გასაუბრებით.

<u>ამგვარად, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ პროგრამის ხელმძღვანელ პირს უდასტურდება შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია.</u>

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ სასწავლო რესურსი 2025 წლის 14 მაისის N7061 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის N5 დანართში. ექსპერტების მიერ გადამოწმდა რამდენიმე მოდულის რესურსის არსებობა. პროგრამისთვის განსაზღვრულ ელექტრონულ რესურსთან შემდგომში პროფესიულ სტუდენტებს წვდომა ელექტრონულ პლატფორმაზე - google classroom, საშუალებით. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონული სასწავლო რესურსი.

<u>ექსპერტების შეფასებით, პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა დასტურდება ელექტრონული ან/და მატერიალური სახით.</u>

6. კოლეჯი ქმნის პირობებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის განათლების მისაღებად და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის საზოგადოებაში; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას განახორციელებს საჭიროების შემთხვევაში ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც იზრუნებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო ადაპტირებულ რესურსებთან წვდომის უზრუნველყოფაზე, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

<u>დასტურდება სსსმ პირებისთვის პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის, რესურსების ადაპტირების შესაძლებლობა სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.</u>

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 7 პროფესიულ სტუდენტს. შემოსავალი მოიცავს ვაუჩერულ დაფინანსებას, ხოლო ხარჯები განაწილებულია შრომის ანაზღაურებაზე, საქონელსა და მომსახურებაზე, მოდულის განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებებზე და იჯარასა და კომუნალურ გასავალზე.

<u>პროგრამის განსახორციელებლად ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა დასტურდება ვაუჩერული დაფინანსების შესაძლებლობით.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;
2. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
3. ბრძანება პროგრამის დამტკიცების თაობაზე;
4. დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი;
5. საბიბლიოთეკო წესით აღრიცხული სასწავლო მასალა;
6. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტები;
7. პროგრამის ხელმძღვანელის განსაზღვრის აქტი;
8. ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1-2 დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 13 მაისის N7016 ბრძანებით, 2023 წლის 8 მაისის N4606 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით, დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ მე-7 და მე-8 მუხლები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებისა და მაში ცვლილებებს განსაზღვრავს, ხოლო მე-9 მუხლი ეხება მის შეფასება/განვითარებას და მიუთითებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე, რომელიც კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია 2025 წლის 13 მაისის N7017 ბრძანებით, 2022 წლის 24 მაისის N4009 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით და რომელიც ეყრდნობა დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე ციკლს და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას, შედეგების გაანალიზებასა და შეფასებაზე რეაგირებას.

<u>შესწავლილი რეგულაციების შესაბამისად, კოლეჯში არსებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, არსებულ გამოცდილებას; კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ სასწავლო გეგმა აგებულია 66 კვირაზე, მასში გათვალისწინებულია მისაღწევი სწავლის შედეგების ლოგიკური მიმდევრობა. ასევე მოცემულია ქართული ენის მოდულების განხორციელების გრაფიკი. გარკვეული მოდულების დასაწყისი განსაზღვრულია კოლეჯის C გარემოში, შემდგომ კი პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებლად.

<u>პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად.</u>

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეუფერხებლობის და პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების მიზნით, კოლეჯს შემუშავებული აქვს სხვადასხვა მექანიზმი პროგრამის განხორციელების დაგეგმვის ეტაპიდანვე. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის მიერ ამ შესაძლებლობების გამოყენების პირობებს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროებას, პრინცებს, ადმინისტრირების საკითხებს; პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში; პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს; ინდივიდუალური მეცადინეობების ორგანიზებისა და კონსულტაციების საკითხებს; პროგრამის კომპონენტის ინდივიდუალურ რეჟიმში გავლის პირობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე.

<u>ექსპერტების შეფასებით, სასწავლო პროცესის ორგანიზება დაგეგმილია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, რათა მოქნილად მოხდეს რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე.</u>

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ განხორციელება გარკვეულწილად მოითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც უზრუნველყოფილია სასწავლო გარემოში. პროგრამა ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას. განმახორციელებლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მათ აქვთ სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის შესაძლებლობა.

<u>ამგვარად, სასწავლო პროცესის წარმართვა დაგეგმილია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.</u>

4. დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ეტაპზე პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება განსაზღვრულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „ამაგი“ კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 13 მაისის N7014 ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

(კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 01 ივლისის N64 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით) დამტკიცებული „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების“ სხვადასხვა მუხლებით, როგორებიცაა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა პირობები (მუხლი 24), დადგენილია ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების შესაძლებლობა და წესი (მუხლი 30, 31), შეფასების შედეგების აპელაციის პროცედურა (მუხლი 50) ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების (მუხლი 60), პროფესიული სტუდენტის სტატუსის შიდა და გარე მობილობის განხორციელების პროცედურები (მუხლი 23), რომელიც შესაბამისობაშია „ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის“ 2019 წლის 20 სექტემბრის N198/ნ ბრძანების მოთხოვნებთან. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების 49-ე მუხლი ადგენს დამატებითი შეფასების პირობას:

<u>პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება.</u>

5. პროგრამის „მასაჟის თერაპია“ განხორციელება დაგეგმილია კოოპერაციული სწავლებით, შესაბამისად პრაქტიკული კომპონენტის განხორცილების მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს 3 ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტებთან: შპს გორმედი, შპს თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების და ხელშეწყობის სააგენტო. ხელშეკრულებები ითვალისწინებს მოდულის/სწავლის შედეგის დასახელებას, კრედიტებისა და საათების მითითებით, მატერიალური რესურსის ჩამონათვალს, რომლის პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტი. დაწესებულების განმარტებით. ექსპერტები გაესაუბრნენ შპს თბილისის ბალნეოლოგიური კურორტს წარმომადგენელს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალების გამოყენებით, რომელმაც დაადასტურა მონაცვლეობის პრინციპით 20 პროფესიული სტუდენტის მომსახურების შესაძლებლობა. დაწესებულება განმარტავს, რომ უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა ტრანსპორტირებას თავდაპირველად ე.გ ჩარჩო ხელშეკრულების, შემდგომში კი კონკრეტული მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების გზით. ექსპერტები, დაწესებულების წარმომადგენელთან ერთად, ვიზიტით იმყოფებოდნენ შპს გორიმედში, სადაც დასტურდება მონაცვლეობის პრინციპით 20 პროფესიული სტუდენტის მომსახურების შესაძლებლობა. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების და ხელშეწყობის სააგენტოში ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ სააგენტოში, მისი საქმიანობის არეალის მიხედვით, არ არის მოდულის „სპორტული მასაჟი“ მე-5 და მე-6 სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეწოდა აღნიშნული ინფორმაცია, რის საპასუხოდაც ვიზიტის დღესვე კოლეჯმა წარმოადგინა ზემოთხსენებული მოდულის/სწავლის შედეგების სხვა პრაქტიკის ობიექტზე - ი/მ. ნ.ტ („მოტუს ცენტრი“), განხორციელების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულება (ამასთან სააგენტოს ხელშეკრულებაში შესული და ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება სწავლის შედეგების ამოკლების შესახებ), აღნიშნულ ობიექტზე ვიზიტით და კომპანიის წარმომადგენელთან გასაუბრებით, დასტურდება მონაცვლეობის პრინციპით 20 პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო მომსახურების გაწევის შესაძლებლობა.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მასაჟის თერაპია“ დირექტორის 2025 წლის 6 მაისის N6705 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მასაჟის თერაპიის (Masage Therapy) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უსაფრთხოდ მიმდინარეობის გეგმა“, რომლის საფუძველს წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის 2025 წლის 06 მაისის N6702 სამსახურეობრივი ბარათი.

<u>ამგვარად, დაგეგმილია პროგრამის მოდულების განხორციელება უსაფრთხო სასწავლო გარემოში და ზოგადი უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფა.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ბრძანება პროგრამის დამტკიცების თაობაზე;
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
3. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
4. დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი;
5. ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „ამაგი“ კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 13 მაისის N7014 ბრძანებით (კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 01 ივლისის N64 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით) დამტკიცებული „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების“ 47-ე და 48-ე მუხლები განსაზღვრავს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობასა და ობიეტურობას და შეფასების მიდგომებს.

<u>კოლეჯში შემუშავებული რეგულაციის თანახმად, შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.</u>

2. კოლეჯის დირექტორის მიერ 2022 წლის 24 მაისის N4009 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით, 2025 წლის 13 მაისის N7017 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მე-5 მუხლი მოიცავს ვერიფიკაციის საკითხებს და გულისხმობს „შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციას პროცესის ვერიფიკაციასა და მტკიცებულებების ვერიფიკაციას“. ამასთან რეგულაცია ითვალისწინებს მაკორექტირებელ ღონისძიებებს.

<u>წარმოდგენილი რეგულაციის საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.</u>

3. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „ამაგი“ კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 13 მაისის N7014 ბრძანებით (კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 01 ივლისის N64 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით) დამტკიცებული „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების“ 51-ე მუხლი ადგენს შეფასების შეფასების უწყისის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის: „სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული ჯგუფისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ“. ამავე დებულების 59-ე მუხლით ასევე აღნიშნულია საკვალიფიკაციო გამოცდის უწყისი, ხოლო დებულების 48-ე მუხლი ადგენს, რომ „კოლეჯი ვალდებულია მოდულების შედეგების შეფასების მტკიცებულებები შეინახოს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში. მტკიცებულებები უნდა ახდენდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

<u>შესწავლილი რეგულაციის მიხედვით, განსაზღვრულია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვის პირობები და ვადები.</u>

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები სტუდენტებს ეცნობებათ ინდივიდუალურად. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია მისცეს პროფესიულ სტუდენტს შესაბამის უკუკავშირი შეფასების შემდეგ. კოლეჯი ზრუნავს, რომ განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასების შედეგების გამოიყენება მოხდეს პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარებისათვის.

<u>ჩამოყალიბებულია მიდგომა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი;
4. ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2.ცვლილებების დოკუმენტაცია: პროგრამაში ცვლილების პაკეტი; შეთანხმება პრაქტიკის ობიექტთან; ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტთან.

24.06.2025
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: